კვლევის ანგარიში

თელავის მუნიციპალიტეტების მოსახლეობის საჭიროებათა კვლევა

საჭიროებათა კვლევა განხორციელდა მედია ცენტრი კახეთის (MCK) პროექტის „მოქალაქის ხმა“ ფარგლებში, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) დაფინანსებით.

აღნიშნული გამოცემისშინაარსზე პასუხისმგებელია ავტორი და გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არ გამოხატავდეს ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

თელავი 2024 წელი

სარჩევი

კვლევის მეთოდოლოგია----------3

თელავის მუნიციპალიტეტის სოციალურ - ეკონომიკური სიტუაციის მოკლე მიმოხილვა----------4

ლიტერატურის მიმოხილვა----------4

თელავის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საჭიროებები----------6

თელავის მუნიციპალიტეტისთვის საჭირო სერვისები----------12

არჩევნები----------13

დასკვნა/რეკომენდაციები----------14

კვლევის მეთოდოლოგია

მუნიციპალიტეტების მოსახლეობის საჭიროებათა კვლევის მიზანი იყო გამოგვევლინა ის ძირითადი საკითხები, რომლებიც მოსახლეობის აზრით, ყველაზე პრობლემურია მუნიციპალიტეტებში. ამავდროულად, კვლევის მიზანი იყო იმის დადგენა, თუ როგორი უნდა იყოს ამ პრობლემების მოგვარებაში როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის, ისე მოსახლეობისა და საზოგადოებრივი სექტორის როლი. საბოლოოდ კვლევის შედეგების გაცნობა მოხდება 2024 წლის არჩევნების მონაწილე კვალიფიციურ სუბიექტებთან, რათა კვლევის შედეგები დაეხმაროთ წინასაარჩევნო კამპანიის დაგეგმვაში და მოსახლეობასთან სწორ კომუნიკაციაში. ასევე, კვლევის შედეგების პრეზენტაცია გაიმართება მუნიციპალიტეტის არასამთავრობო სექტორთან, რათა თავიანთი პროგრამები მოარგონ სწორედ, რომ მოსახლეობის საჭიროებებს.

თვისებრივი კვლევა

გამოყენებულ იქნა ფოკუს ჯგუფი მეთოდი, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს მოკლე დროში შევაგროვოთ და სიღრმისეულად გავაანალიზოთ ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებანი. ფოკუს ჯგუფის მეთოდის უპირატესობაა მისი მოქნილობა, ჩაღრმავების უნარი და მოდერირებული დისკუსიაა, რომელიც საშუალებას აძლევს მონაწილეებს, რომ არა მარტო დააფიქსირონ საკუთარი მოსაზრებები, არამედ თავადვე ახსნან და მოახდინონ რეფლექსია გამოთქმულ მოსაზრებებზე.

კვლევის ფარგლებში ჩატარდა 3 ფოკუს ჯგუფი სამ მუნიციპალიტეტში (თელავი, ახმეტა, ყვარელი). რესპონდენტების შერჩევა მოხდა მიზნობრივი და თოვლის გუნდის შერჩევის მეთოდების გამოყენებით. კვლევის მიზანი იყო რაც შეიძლება მრავალფეროვანი მოსაზრებების შეგროვება და გაანალიზება. შესაბამისად, ფოკუს ჯგუფის მონაწილენიც

საზოგადოების ფართო წრეების წარმომადგენლები იყვნენ, განსხვავებული ასაკის, განათლების, სოციალური მდგომარეობის და ა.შ. რესპონდენტების ასაკი მერყეობდა 17-სა და 45 წელს შორის.

თელავის მუნიციპალიტეტის სოციალურ - ეკონომიკური სიტუაციის მოკლე მიმოხილვა

ფართობი - 1095 კმ2

მოსახლეობა - 58 350

ადმინისტრაციული[1] ცენტრი - ქალაქი თელავი

თელავის მუნიციპალიტეტი 27 ადმინისტრაციული ერთეულისგან შედგება - ცენტრალური თელავი, ძველი თელავი, დასავლეთი თელავი, ალაზანი-კავკასიონი, აღმოსავლეთ თელავი, აკურა, ვანთა, ბუშეტი, ქვემო ხოდაშენი, წინანდალი, კონდოლი, კისისხევი, შალაური, ნასამხრალი, კურდღელაური, გულგულა, ვარდისუბანი, რუისპირი, იყალთო, ყარაჯალა, ნაფარეული, ლაფანყური, ლალისყური, სანიორე – ჯუღაანი, ართანა, ფშაველი – ლეჩური, თეთრიწყლები.

2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის თანახმად, თელავის მუნციალიტეტში 58350 ადამიანი ცხოვრობს. 19629 ქალაქ თელავში, დანარჩენი კი, მუნიციპალიტეტის სოფლებშია გადანაწილებული.

ლიტერატურის მიმოხილვა

თელავის მუნიციპალიტეტს დამტკიცებული აქვს ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა 2019-2020.[2]

მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა შეიქმნა ევროკავშირის ინიციატივა **„მერები ეკონომიკური ზრდისთვის“** ფარგლებში. გეგმის შემუშავების პროცესში ჩართული იყვნენ როგორც მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის, ასევე სამოქალაქო, ბიზნეს სექტორის და მასმედიის წარმომადგენლები. ერთობლივი მუშაობის შედეგად, გამოიკვეთა ძირითადი მიმართულებები: ტურიზმი, სოფლის მეურნეობა და შრომის ბაზარი, რომელთა განვითარება იქნება მუნიციპალიტეტის სამომავლო წინსვლის განმაპირობებელი ფაქტორი. ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა, ინოვაციური ტექნოლოგიების

დანერგვა, მეწარმეთა ხელშეწყობა და სოფლის მეურნეობის განვითარება შექმნის როგორც მატერიალურ დოვლათს, ასევე

[1] www.telavi.gov,ge

[2] https://telavi.gov.ge/sites/default/files/ekonomikuri_ganvitarebis_gegma_0.pdf

მაღალანაზღაურებად სამუშაო ადგილებს, რაც დადებითად აისახება მოსახლეობის კეთილდღეობაზე და მუნიციპალიტეტის ეკონომიკური მახასიათებლების ზრდაზე. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ შემუშავებულია ქალაქ თელავის ცენტრალური მოედნის განაშენიანების გენერალური გეგმა, რომლის დამტკიცებაც სამწუხაროდ არ ხდება. გეგმა ითვალისწინებს მუზეუმ-ქალაქის მიმზიდველ, ტურისტულ, ფუნქციურ კომპლექსად ჩამოყალიბებას, რომელიც მეტ ვიზიტორს მიიზიდავს.

ჩვენ შევისწავლეთ სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ ჩატარებული სოციოლოგიური კვლევები და მოვახდინეთ მათი ანალიზი. ორგანიზაცია ,, მედია ცენტრი კახეთის" მიერ 2019 წელს ჩატარდა თელავის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საჭიროებების კვლევა,[3] სადაც რამდენიმე ძირითადი პრობლემა გამოიკვეთა. აღნიშნული პრობლემები წლების მანძილზე აწუხებს მუნიციპალიტეტის მოსახლეობას და მეტ-ნაკლებად ერთნაირია.

1. ***ინფრასტრუქტურა (სპორტული და კულტურული სივრცეები)***
2. ***საზოგადოებრივი ტრანსპორტი***
3. ***სასმელი წყლის მიწოდება***
4. ***მიუსაფარი ძაღლები***
5. ***საგზაო ინფრასტრუქტურა***
6. ***ახალგაზრდული სივრცეების ნაკლებობა***
7. ***საზოგადოებრივი საპირფარეშოები***
8. ***მოსახლეობის ჩართულობის დაბალი დონე***

2019 წელს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ჩაატარა თვისებრივი (ფოკუს ჯგუფის) კვლევა თემაზე: ,, უსაფრთხო გარემო და ყოფითი პრობლემები".[4] ამ კვლევით გამოვლენილი პრობლემები და საჭიროებები ასე გამოიყურება:

1. სოციალური ქვეპროგრამით გამოყოფილი ქირის თანხა არასაკმარისია და შესაბამისად არაეფექტურიც.

2. მოსაძიებელია ალტერნატიული გზა თავშესაფრის არმქონე პირებისთვის თავშესაფრით უზრუნველყოფად.

[3] file:///C:/Users/Administrator/Downloads/MCK%20Final%20Report%20RDF%20(2).pdf

[4] https://telavi.gov.ge/sites/default/files/telavi_-angarishi.pdf

3. სოციალურ პროგრამაში შესატანია ცვლილება, კერძოდ, ცვლილების შედეგად უნდა მოიხსნას ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირისთვის ქირით ან თავშესაფერით უზრუნველყოფის გავრცელების შეზღუდვა. (დადგენილია პირის 5 წლიანი ფაქტობრივი ცხოვრების მოთხოვნა)

4. სათბობით უზრუნველყოფის ქვეპროგრამით გამოყოფილი თანხა არასაკმარისია სათბობით უზრუნველყოფისთვის და აუცილებელია მისი გაზრდა.

5. სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებული დახმარების ღონისძიებების ქვეპროგრამა არის არაეფექტური ვინაიდან აღნიშნული დახმარების გაცემისას ადგილი აქვს გარკვეულ ხარვეზებს, რომლის გამოც აღნიშნული პროგრამის მიზანი არ სრულდება.

6. ბენეფიციარების სურვილია პერიოდულად შესწავლილ იქნას მათი სოციალური მდგომარეობა, რათა მუნიციპალური პროგრამები იყოს მათზე მორგებული.

თელავის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საჭიროებები

თელავის მუნიციპალიტეტის საჭიროებები რასაკვირველია ჰგავს სხვა მუნიციალიტეტებს, (ახმეტასა და ყვარელს) თუმცა შეიძლება ნიუანსებში განსხვავებები ვიპოვოთ. თელავის მუნიციპალიტეტში ყველა პრობლემის სათავეს უფრო მეტად აკავშირებენ პოლიტიკურ ხელმძღვანელობასთან, ვიდრე სხვაგან. თელავში რესპონდენტები, ხმამაღლა საუბრობენ მუნიციპალიტეტის ცენტრალიზებულ მართვაზე. შეშოფთებულები არიან იმის თაობაზე, რომ ქალაქს თვითმმართველი ქალაქის სტატუსი წაართვეს. თელაველები თვლიან, რომ სანამ რეალურად დეცენტრალიზაცია არ მოხდება, მანამდე ადგილობრივ განვითარებაზე საუბარი ნაადრევია. ისინი დანანებით ამბობენ, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა პასუხისმგებლობას არ გრძნობს მოსახლეობის წინაშე, ის პასუხისმგებლობას გრძნობს მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლების წინაშე, იმ ადამიანების და ჩინოვნიკების წინაშე, რომლებმაც წვილი შეიტანეს მათ არჩევაში. ციტატა:

„ადამიანები კენჭს იყრიან, არა იმიტო რო ცვლიება უნდათ, არამედი ვიღაცამ ზემოთ უთხრა, მიდი რა“ (კაცი, 44 წლის, თელავის მუნიციპალიტეტი)

შეკითხვაზე რა არის 5 მთავარი პრობლემა, რომელიც მათ და მათ გარშემომყოფებს აწუხებთ პასუხები ასე გადანაწილდა:

1. მიუსაფარი ძაღლები;

2. საგზაო ინფრასტრუქტურა;

3. მოსახლეობის უმუშევრობა, განათლება და ახალგაზრდების მიგრაცია;

4. მოსახლეობის ჩართულობის დაბალი დონე საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში;

5. ხანდაზმულების პრობლემები;

მიუსაფარი ძაღლები

მიუსაფარი ძაღლების პრობლემა უკვე წლებია თელავის მუნიციპალიტეტს და განსაკუთრებით ქალაქ თელავს აწუხებს. მიუხედავად იმისა, რომ გურჯაანში არსებობს ინტერმუნიციპალური კლინიკა, რომელიც ახდენს ძაღლების სტერილიზაცია/კასტრაციას, ისინი მაინც უკან, ბუნებრივ გარემოში ბრუნდებიან და რეალურად პოპულაცია არ მცირდება. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, დაამტკიცა შინაური ცხოველების ყოლისა და მოვლა-პატრონობის წესი, თუმცა მერია ამ წესის აღსრულებას ვერ/არ აკეთებს. არ იცის როგორ მოაგვაროს, პრობლემა უკვე წესის აღსრულებაშია.

საგზაო ინფრასტრუქტურა

თელავში თითქმის ყოველი მეორე ქუჩა გადათხრილ მდგომარეობაშია. საგზაო სამუშაოები დროში ჭიანურდება, ვადაში ჩაბარება ვერ ესწრება. მერია ხშირად უხარისხოდ შესრულებულ სამუშაოს იბარებს. თელავის მუნიციპალიტეტში ამ დრომდე პრობლემურია 24 საათიანი წყალმომარაგება, მოსახლეობა კვლავ ავზებით სარგებლობს, წყალს ინახავს და ისე მოიხმარს. მონაწილეებმა ერთხმად აღნიშნეს „ ენერგო პრო ჯორჯიას“ არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება აბონენტებს მიმართ, რადგან მუნიციპალიტეტში ელექტროენერგია გაფრთხილების გარეშე ძალიან ხშირად ითიშება, სარემონტო სამუშაოებს რატომღაც ზამთრის დაწყებისას აკეთებენ, რაც მოსახლეობას დისკომფორტს უქმნის და ქალაქის პარალიზებას იწვევს ხშირ შემთხვევაში.

მოსახლეობა ხმამაღალ პროტესტს არ გამოხატავს, მიზეზები მრავალია, ხშირად მერკანტილური, ხშირად შიშის გამო. უმეტესად კი იმიტომ, რომ პატარა ქალაქია, ყველა ერთმანეთს იცნობს და ხმამაღლა ვერ ისაუბრებენ. ციტატები:

„ვდაგავართ და ველოდებით სხვა როდის იტყვის ჩვენს სათქმელს“;

„ვიღაცის ბიძაშვილია“;

„მერე გადამეკიდება“;

„თელაველი კაი ტიპია“;

უმუშევრობა, დასაქმება, განათლება, მიგრაცია

რესპონდენტებმა მეტი აქცენტი გააკეთეს ახალგაზრდების უმუშევრობის, დაუსაქმებლობის მიზეზებზე. მათ შორის იყო ის, რომ ახალგაზრდები მისდევენ ცხოვრების არაჯანსაღ წესს და სხვადასხვა მავნე ნივთიერებებზე არიან დამოკიდებულნი. ასევე, აღსაღნიშნავია ისიც, რომ მათი მშობლები საზღვარგარეთ არიან წასულები, იქიდან ხდება მათი საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა და ხშირად ახალგაზრდება არც იციან, სად და რატომ უნდა იმუშაონ, როდესაც ფულადი რესურსი ისედაც აქვთ. ასეთ ახალგაზრდებს „ ნით “ ახალგარზდებს ეძახიან და კვლევაში მონაწილე ახალგაზრდა რესპონდენტებმა და რომ მათი ვარაუდით ასეთი ახალგაზრდების რაოდენობა თელავის მუნიციპალიტეტში ძალიან მაღალია და მათთან მუშაობა მნიშვნელოვანია.

ყველაზე მეტ პრობლემას ფოკუს ჯგუფის რესპონდენტები განათლების მიმართულებაში ხედავენ და ამბობენ, რომ პრობლემების მოგვარება სკოლიდან უნდა დაიწყოს, სკოლამ უნდა მისცეს მთავარი ორიენტაცია სამომავლო პროფესიის არჩევაში, სკოლაშივე უნდა მიუწვდეოდეთ ახალგაზდებს ხელი არაფორმალური განათლების რესურსებზე, უნდა ხდებოდეს სხვადასხვა საჭირო, თანამედროვე და მოთხოვნადი პროფესიების პოპულარიზაცია და არ უნდა იყოს ორიენტირი მხოლოდ უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარებაზე. ჯგუფის მონაწილე ახალგაზრდა რესპოდენტებმა თქვეს, რომ მათ უჭირთ სხვადასხვა პროექტში ახალგაზრდების ჩართვა და მათი დათანხმება, რადგან ახალგაზრდებს ქუჩური მენტალიტეტი აქვთ ჩამოყალიბებული. ციტატა:

„ტრენინგზე დასწრება ტეხავს“ ამბობს 17 წლის მამაკაცი

„ყველას პირდაპირ დირექტორობა უნდა სწავლის და შრომის გარეშე“ ამბობს 17 წლის მამაკაცი

ფოკუს ჯგუფის რესპონდენტებმა საკმაოდ ბევრი ისაუბრებს მიგრაციაზე, რომელიც მუნიციპალიტეტს მძიმე მდგომარეობაში აგდებს. მიდიან როგორც შუა ხნის ასაკის ადამიანები, ასევე ახალგაზრდები და აღარ ბრუნდებიან. რეგიონში ერთადერთი უნივერსიტეტია და სტუდენტური ცხოვრება არ არსებობს, არადა პოტენციალი არსებობს,

რომ თელავი გახდეს სტუდენტური ქალაქი, ჰქონდეს სტუდენტური საცხოვრებელი და ზოგადად ქალაქი გადაეწყოს ცოცხალ, სტუდენტურ ცხოვრებაზე. თელაველი ახალგაზრდები ვერ იყენებენ ტექნოპარკის შესაძლებლობებსაც. ტექნო პარკი სკოლის მოსწავლეებს, ახალგაზრდებს და ინოვაციური იდეებით შეპყრობილ ადამიანებს აძლევს ერთი შეხედვით არარეალური იდეების განხორციელების შესაძლებლობას. მაგრამ აქ არ/ვერ მიდიან, არ იციან, მშობლებიც არ ახალისებენ მომავლის პროფესიებს, ისევ იურისტობას, დიპლომატობას აძალებენ შვილებს, როცა შეიძლება თანამედროვე ტექნოლოგიები ისწავლონ და უკეთესი სამსახური მოიძიონ. რესპონდენტები ამბობენ, რომ მენტალიტეტი უნდა შეიცვალოს არა მხოლოდ სკოლებში, არამედ ოჯახებში, ეს არის ამ ქვეყნის პრობლემა, და აქედან იწყება ყველა პრობლემა. ციტატები:

„ჩაკეტილ სივრცეში ვტრიალებთ“ ამბობს 43 წლის ქალი

ხანდაზმული მოქალაქეები

ხანდაზმულების პრობლემები საკმაოდ მწვავედ წამოჭრეს კვლევის მონაწილეებმა. მუნიციპალიტეტში ხანდაზმულებისთვის არ არსებობს მუნიციპალური სერვისი, რითიც ისინი სოციალიზაციას შეძლებენ. მოხუცები მძიმე დღეში არიან, როგორც თელავში, ასევე სოფლებში. იგულისხმება მარტოხელა ხანდაზმულები, რომლებსაც არ ჰყავთ შვილები და საჭიროებენ სხვადასხვა ტიპის სერვისით სარგებლობას. მაშინ, როდესაც სამოქალაქო აქტივისტებმა თელავის მუნიციპალიტეტის მერიას მიმართეს, რომ გარკვეული სერვისის შეთავაზება მომხდარიყო მათ უარი მიიღეს. ციტატა:

„გაეჩინათ შვილები და არ იქნებოდნენ მარტო“ – გვეუბნება 43 წლის ქალი თელავიდან.

„არადა, ევროპაში აპრობირებული მეთოდია, რომ სტუდენტები მოხალისეობრივად მუშაობენ მოხუცებთან, მაგალითად ერთად სეირნობენ, ან ერთად სადილობენ,. შესაძლოა იყოს მოხუცებულთა კლუბიც“. ამბობს 35 წლის ქალი

მაჟორიტარი

მონაწილეებს ვთხოვეთ შეეფასებინათ მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატის და მისი ბიუროს საქმიანობა, რომელიც საქართველოს პარლამენტში წესით მათ ინტერესს უნდა

წარმოადგენდეს და თელავის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის გასაჭირს მაღალი ტრიბუნიდან აჟღერებდეს. ვკითხეთ თუ ჰქონიათ ოდესმე მასთან, მის ბიუროსთან კომუნიკაცია, თუ იციან რას საქმიანობს და რა ფუნქცია და მოვალეობები აქვს.

ფოკუს ჯგუფის მონაწილეების უმრავლესობამ იცოდა, ვინ იყო მათი მაჟორიტარი, თუმცა ბიუროს საქმიანობის შეფასება გაუჭირდათ. მათ არ იცოდნენ რას აკეთებს ბიურო და ზოგადად რა საჭიროა მისი არსეობა. ერთ მონაწილეს ჰქონდა გამოცდილება ბიუროსთან კომუნიკაციის. მან აღნიშნა, რომ ბიურო ძირითადად მოქალაქეთა მიღებით არის დაკავებული და სხვადასხვა სოციალური საკითხის მოგვარებით: ***ციტატა: „გადარეკა, გადმორეკა, სხვა რა შეეძლია“.***

მერია/ საკრებულოს შეფასება

ამ კითხვის ქვეშ რეპონდენტებს ვთხოვეთ შეეფასებინათ თელავის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულო მუშაობა. ვთხოვეთ ესაუბრათ იმაზე, რა მოსწონთ და რა არ მოსწონთ, სად ხედავენ პრობლემას. თავად თუ არიან ჩართულები პროცესში და თუ იღებენ შესაბამის უკუკავშირებს. თელავის მუნიციპალიტეტში ყველაზე ცუდად შეფასდა მერიისა და საკრებულოს მუშაობა. მათ უწუნებენ, როგორც ზოგადად გაწეულ საქმიანობას, ისე მოსახლეობასთან, საზოგადოებრივ ჯგუფებთან კომუნიკაციის სტილს. ციტატა:

„იდეების ჩაკვლა ხდება ამ მუნიციპალიტეტში“ – გვეუბნება 43 წლის ქალი თელავიდან.

ჯგუფის მონაწილეთა უმრავლესობა ამბობს, რომ მათ ინიციატივებზე მსჯელობა არ ჰქონია ადგილობრივ თვითმმართველობას, არც კი დაინტერესებულა, ან თუ ჰქონია ისეთი დაგვიანებული, რომ აზრს იყო მოკლებული მისი განხილვა. რესპონდენტებს პრობლემად მიაჩნიათ ის, რომ ადგილობრივ თვითმმართველობას არ აქვს გრძელვადიანი ხედვა იმისა, თუ როგორ უნდა განვითარდეს მუნიციპალიტეტი, რა არის ამისთვის საჭირო, სად და როგორ უნდა ჩართონ მოქალაქეები. არის სამსახურები, რომლებიც შექმნილია, მუშაობენ, თუმცა საჭირო სერვისის გასაწევად თანხები არასდროს ყოფნით. ერთ-ერთ ასეთ სამსახურად ბავშვზე ზრუნვის განყოფილებას ასახელებენ. მას შემდეგ რაც საქართველოს პარლამენტმა ბავშვთა დაცვის კოდექსი მიიღო, მუნიციპალიტეტებს დაევალათ მსგავსი სამსახური შეექმნათ, თუმცა რეალურად ეს სამსახური ბავშვზე ზრუნვას თავს ვერ ართმევს, ვერ ეხმარება ოჯახებს დამხმარე სერვისებით, სამედიცინო სერვისებით და ა.შ. მერიაში და საკრებულოში არ ხდება ჩატარებული პროექტების და გაწეული საქმიანობის მონიტორინგი

და შეფასება. ***ციტატა: „ვერავინ იტყვის საქმე კარგად გაკეთდა, თუ ცუდად, რადგან ამას არავინ სწავლობს''. ამბობს 43 წლის ქალი.***

კვლევაში მონაწილე ახალგაზრდა მონაწილის თქმით, ყოველ წლიურად მერიას ახალგაზრდული ინიციატივების დასაფინანსებლად 50,000 ლარი აქვს ბიუჯეტში ჩადებული, თუმცა რეალურად ეს თანხა როგორ იხარჯება არავინ იცის. არც კრიტერიუმებია განსაზღვრული და არც კომისია არსებობს, რომელიც მერიაში შესული ინიციატივების შეფასებას და გამარჯვებულის გამოვლენას უზრუნველყოფს.

საკრებულოს სხდომა

მონაწილეებს ვკითხეთ, დადიან თუ არა თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე. საკრებულოს სხდომა სავალდებულო წესით თვეში ერთხელ იმართება, სხდომა საჯაროა, ნებისმიერ მსურველს აქვს უფლება დაესწროს, საკუთარი აზრი გამოთქვას, ინიციატივის ადვოკატირება მოახდინოს და ა.შ. საკრებულოს აპარატს კანონი ავალდებულებს, რომ 7 დღით ადრე გაასაჯაროოს სხდომის თარიღი.

მონაწილეთა უმრავლესობა საკრებულოს სხდომებზე არ დადის. ორი რესპონდენტი ამბობს, რომ მათ ცუდი გამოცდილება მიიღეს და ამის გამო აღარ დადიან. ერთი რესპონდენტი კი მუდმივად დადის და ამბობს, რომ ეს მნიშვნელოვნად მიაჩნია.

საკრებულოს სხდომაზე იმიტომ არ დადიან, რომ ხშირ შემთხვევაში ინფორმაცია არ აქვთ სხდომის გამართვის თარიღის შესახებ. ახალგაზრდებმა აღნიშნეს, რომ მათ არ იცოდნენ, რომ სხდომა საჯაროა და ნებისმიერ პირს შეუძლია დასწრება, შესაბამისად, ახალგაზრდებში ცნობიერების დაბალი დონეც გამოიკვეთა. საკრებულო არ ცდილობს სოციალურ ქსელის გარდა ინფორმაცია სხვა მხრივაც ხელმისაწვდომი გახადოს. ერთ-ერთი რესპონდენტი ამბობს, რომ კარგი იქნება, თუ სმს შეტყობინებას დანერგავს საკრებულო და დარეგისტრირებულ, დაინტერესებულ პირებს ესემეს შეტყობიენებას გაუგზავნის სხდომის თარიღის შესახებ. ციტატები:

„აზრი არ აქვს, ყველაფერზე თავისი არგუმენტები აქვთ"

„წინასწარ არის მაინც ყველაფერი შეთანხმებული"

„სოციალურ კომისიაში ვინც არიან, სიტყვა სოციალურიც არ იციან"

„ნახევარ გვერდიანი განცხადება ვერ წაიკითხა"

„მორიგი იმედგაცრუებაა"

„ერთი და ორი ადამიანის მისვლა არაფერს ცვლის"

სერვისები

ჩვენ ფოკუს ჯგუფის მონაწილეებს ვკითხეთ დაესახლებინათ ის საჭირო და აუცილებელი სერვისები, რომელთა დანერგვასაც ისურვებდნენ თელავის მუნიციპალიტეტში. ვთხოვეთ ესაუბრათ, ისეთ სერვისებზე რომლებიც არ უკავშირდება ინფრასტრუქტურას და სამშენებლო სამუშაოებს, რადგან ამ ტიპის საჭიროება ყოველთვის ხილულია და ჩანს. გამოიკვეთა შემდეგი სერვისების დანერგვის საჭიროება:

1. არაფორმალური განათლების, პროფესიული ორიენტაციის, როგორც სერვისის დანერგვა და შეთავაზება. კვლევაში მონაწილეების აზრით, ეს მერიამ შეიძლება ე.წ ,,აუთსორსზე" გააკეთოს, რადგან თელავში არსებობენ ორგანიზაციები, რომლებსაც ამ მიმართულებით მუშაობის გამოცდილება აქვთ და ასეთი ტიპის სერვისის მიწოდების უზრუნველყოფას ნაკლები ხარჯით შეძლებენ;

2. ხანდაზმულთა შინმოვლის და სოციალიზაციის სერვისი. ეს სერვისი ნაწილობრივად მოხალისეობრივად შეიძლება გაკეთდეს, ამაზე ფიქრი და მუშაობა აუცილებლად მიაჩნიათ;.

3. შშმ ბავშვების ან/და პირების მშობლების ან მზურნელი პირების გათავისუფლება კვირაში ერთხელ მაინც რამდენიმე საათი. რადგან ხშირ შეთხვევაში ის ადამიანები, რომლებიც შშმ ოჯახის წევრებს უვლიან, თვითონაც სერაბილიტაციო პროგრამები სჭირედებათ;.

4. ბავშვთა ზრუნვის სამსახურში ისეთი სავალდებულო სერვისების დანერგა, როგორიცაა ოჯახის დამხმარე სერვისი არსებობა, რათა სოციალურად შეჭირვებული ბავშვების მშობლემა მუშაობა შეძლონ.

არჩევნები

იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული კვლევის პრეზენტაცია პირველ რიგში პოლიტიკური სუბიექტების წინაშე უნდა გაიმართოს, რასაკვირველია მნიშვნელოვანია კითხვა, მიაჩნიათ თუ არა ადამიანებს 2024 წლის არჩევნები მნიშვნელოვან არჩევნებად, დადებითი და უარყოფითი პასუხის შემთხვევაში ვთხოვეთ დაეკონკრეტებინათ მიზეზები და რასაკვირველია ვკითხეთ მიიღებენ თუ არა მონაწილეობას არჩევნებში.

კვლევაში მონაწილეები ამბობენ, რომ მნიშვნელოვანი არჩევნები გაიმართება 2024 წელს, რადგან პირველად ქვეყანაში არჩევნები პროპორციული სისტემით ტარდება. ისინი ამბობენ, რომ კონკურენციას ზრდის პროპორციული სისტემა და ასევე იმის შანსებსაც, რომ პარლამენტში ბევრი პარტია მოხვდეს და შესაბამისად მრავალფეროვანი პოლიტიკური

ლანდშაფტი გვქონდეს საქართველოს პარლამენტში. გარდა ამისა, აღნიშნავენ, რომ კანდიდატის სტატუსის მონიჭების შემდგომ, არჩევნებმა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ფუნქცია შეიძინა და ისინი აუცილებლად მიიღებენ მონაწილეობას. ისინი ყოველთვის მონაწილეობენ და გარშემომყოფებსაც მოუწოდებენ, მიიღონ მონაწილეობა.

ციტატები:

„ყველა უნდა წავიდეთ, ყველას მოვუწოდებ"

„ეს ერთადერთი შესაძლებლობაა, როდესაც ძალაუფლება მართლა ხალხის ხელშია, უნდა წავიდეთ"

დასკვნა და რეკომენდაციები

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ თელავის მოსახლეობა საკმაოდ კარგად ერკვევა პრობლემური საკითხების იდენტიფიცირებაში და პრიორიტეტიზაციაში. მათთვის პრობლემის სათავე უფრო მეტად არის ცენტრზე დამოკიდებული თვითმმართველობა. ასევე ის ფაქტიც, რომ ქალაქ თელავს არ აქვს თვითმმართველი ქალაქის სტატუსი და ცალკე ბიუჯეტი, რაც ართულებს ქალაქში პრობლემების მოგვარებას. ისინი ბევრს ფიქრობენ ახალგაზრდა თაობების პრობლემებზე და გამოწვევებზე, საკმაოდ კარგად მსჯელობენ მოგვარების გზებზეც და ამისთვის გარკვეულწილად აქტიურობენ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ მიუსაფარი ძაღლების პრობლემა წლების გასვლასთან ერთად ვერ/არ გვარდება. მუნიციპალიტეტის საკრებულოს დამტკიცებული აქვს შინაური ცხოველების მოვლა-პატრონობის წესი, თუმცა მერიას არ აქვს აღსრულების მექანიზმები. რეკომენდაციის სახით, მერიის შესაბამის სამსახურს მოვუწოდებთ, რომ აღნიშნული წესის დანერგვა მოხდეს მუნიციპალიტეტში, დაიწყოს აქტიური საინფორმაციო კამპანია მოსახლეობასთან წესის გაცნობის თაობაზე. ასევე მიეწოდოთ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა შესაძლო შედეგები შეიძლება მოჰყვეს ცხოველების მიტოვებას, შინმოვლის წესების დარღვევას და ა.შ

კვლევის მონაწილეებმა თელავის მუნიციპალიტეტში გამოკვეთეს მარტოხელა ხანდაზმულების პრობლემები. საჭიროა, რომ მოხდეს აღწერა, რათა მუნიციპალიტეტს ჰქონდეს ზუსტი ციფრი, თუ რამდენი შესაძლო ბენეფიციარი შეიძლება ჰყავდეს და შემდგომ უნდა დაიწყოს შინმოვლის სერვისის დანერგვაზე აქტიური მუშაობა. მსგავსი სერვისი უკვე აქვს რამდენიმე მუნიციპალიტეტს, მათ შორის ზუგდიდის და გორის მუნიციპალიტეტებს და მათი პრაქტიკის გაზიარება თელავისთვის მნიშვნელოვანი და პრაქტიკული იქნება.

ჩვენი კვლევის რესპონდენტების მიერ, ასევე საკმაოდ ბევრი საუბარი შედგა მუნიციპალიტეტის მერიაში, ბავშვთა დაცვის განყოფილების არაეფექტურ მუშაობაზე. მიზეზიც

დასახელდა – ფინანსების სიმწირე. იქიდან გამომდინარე, რომ ბავშვთა უფლებები და მათზე ზრუნვა ბავშვთა კოდექსით არის აღიარებული და სახელმწიფოს აქვს ვალდებილება ბავშვებზე იზრუნოს, აუცილებელია, რომ აღნიშნული სამსახურის ბიუჯეტი გაიზაროდს, დაკომპლექტდეს კვალიფიციური კადრებით, ფსიქოლოგებითა და სოციალური მუშაკებით, რათა მათი სერვისი იყოს ეფექტური და რეალურად ბავშვთა საჭიროებებზე მორგებული.